სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

07 მარტი 2024

N 21/2386

ი/მ თემურ ხომასურიძეს

ელ. ფოსტა: Temurixomasuridze1962@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2023 წლის 29 დეკემბერს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N12974 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ზესტაფონში ს. ზაქარიაძის N27-ში მეორადი შესაფუთი მასალის გადამამუშავებელ საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ განცხადებასა (N12974) და ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმო განთავსებულია ქ. ზესტაფონში ს. ზაქარიაძის N27-ში, იჯარით აღებული შენობაში. დოკუმენტაციას თან ახლავს 2021 წლის 1 აპრილის იჯარის ხელშეკრულება, სადაც მეიჯარე და მოიჯარე მხარეს წარმოადგენს თემური ხომასურიძე. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 26 ივლისის N882021496285-05 გადაწყვეტილებით შეწყვეტილ იქნა თემური ხომასურიძეს სარეგისტრაციო წარმოება. შესაბამისად, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკუთრების (ან სარგებლობის) შესახებ საჭიროა დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა.

ასევე გაცნობებთ ტექნიკური ხასიათის შენიშვნებს:

- დაზუსტებას და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას საჭიროებს დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ხმაურის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, ჩატარებული გათვლები წარმოდგენილი უნდა იყოს კონკრეტულად საწარმოს დანადგარებთან მიმართებაში;
- აუდიტის ანგარიშის თანახმად, საწარმოში ხდება მეორადი შესაფუთი მასალის გადამუშავება და აგრემერატის (ზოგან მითითებულია აგრემარატი) მიღება. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული პროდუქციის შესახებ ინფორმაცია;
- საკანონმდებლო ნაწილში მითითებულია ძალადაკარგული კანონები და კანონქვემდებარე აქტები. წარმოდგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და მათი კავშირი საქმიანობასთან;
- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის მე-5 გვერდზე აღნიშნულია, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვა“ გაიცემა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკში (თავი 5), საწარმოს შენობის ფართობი (100 მ^2), მითითებულია როგორც მიმდინარე საქმიანობისთვის გამოყენებული ბუნებრივი რესურსი, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას.

გთხოვთ, **ორი თვის** ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სააგენტოში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო